№ 15. თბილისი, 1942 წ. აპრილი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

267/2 5 62

ნახ. მ. ვადბოლსკისა

საფრთხობელა

„ჰიტლერი აცხადებს, რომ ქვეყნიერების მართვა შეიძლება შიშის საშუალებით“

გაზეთებიდან

ჰიტლერი — ქვეყნიერების მართვა მხოლოდ შიშის საშუალებით შეიძლება: დაგზავნე ყველგან ჩემი პორტრეტები.

ბანდიტის მომავალი

ჰიტლერის მიერ ვიშის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნული ლავალი თავდასხმის შიშით—ქუჩებში მცველებით დაიარება.

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვილაც შეუპყრიათ. მგონი ბანდიტი უნდა იყოს.
— დიახ, ბანდიტია, რომელსაც ფრანგი ხალხი მალე შეიპყრობს.

ბრძანების ძალა

„თუ ჯარისკაცს უბედურება ეწვევა და იგი ტყვედ ჩავარდება მოწინააღმდეგის ბანაკში, მან თავი უნდა მოისულელოს და ხეპრეობა გამოიჩინოს..."
(ბრძანებიდან გერმანიის არმიისადმი).

ორი კვირის განმავლობაში მოდიოდა გერმანელთა მატარებელი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტისაკენ. მეტად მოწყენილი და ერთფეროვანი იყო გზა. ერთფეროვანი იყო ერზაც-კერძებიც. ერთად-ერთი გასართობი ის იყო, რომ ზოგჯერ მატარებელს გააჩერებდნენ, ჯარისკაცებს გარეთ გამოიყვანდნენ და ბრძანებებს და დარიგებებს უკითხავდნენ. სიცილის ნება არ იყო, თორემ კაცი ხარხარით მოკვდებოდა, იმდენად უბადრუკი იყო ეს ბრძანებები. მაგალითად, ბრძანებაში იყო ასეთი ადგილი:

— ჯარისკაცებს კატეგორიულად ეკრძალებათ ერთი-მეორეს მოპარონ პური, სამართებელი, ასანთი, ცხვირსახოცი და სხვა ნივთები.

მეორე ბრძანება იძლეოდა დარიგებას, თუ როგორ უნდა დააკეროს გერმანელმა ჯარისკაცმა ნაჭერი გაცვეთილ შარვალზე ან საცვალზე.

ბოლოს ეს სათადარიგო დივიზია მოვიდა დანიშნულების ადგილზე.

— გამოდით, დაეწყეთ! სმენა! — გაისმა ხრინწიანი ბრძანებები.

სიჩუმე გამეფდა. ფრანგული პურით ნაკვები ფრიცები ყურადღებით და შიშით ათვალიერებდნენ უცნობ მიდამოს და თან ყურს უგდებდნენ სარდლებს, რომლებიც უძილობისა და სასმელებისაგან დაბოხებული ხმით უკითხავდნენ მათ ბრძანებას — ტყვედ ჩავარდნის დროს ჯარისკაცთა საქციელის შესახებ.

სარდლებს ბევრი დრო არ ჰქონდათ, ისინი ჩქარობდნენ იერიშზე გადასვლას და ამიტომ სხაპა-სხუპით კითხულობდნენ ბრძანებას. შემდეგ განმარტებები დაიწყო:

— გაიგონეთ, ბრიყვებო! დაიხსომეთ: თქვენ არაფერი იცით. თქვენ სრულებით არაფერი არ გესმით. თქვენ ყეყეჩები ხართ. გაიმეორეთ!

— ჩვენ არაფერი არ გვესმის, ჩვენ ყეყეჩები ვართ! — ერთხმად იმეორებდნენ ჰანსები, ფრიცები, გაფკეები და მუფკეები.

— ვინ იცის, იქნებ ისეც მოხდეს, რომ რომელიმე თქვენგანი, სრულიად მოულოდნელად, ტყვედ ჩავარდეს. ამიტომ აქედანვე დაიხსომეთ: თქვენ არ იცით, რატომ და რისთვის იბრძვით, რისთვის იკლავთ თავს და რა მიზანი აქვს ამ ომს.

— ეშმაკმა იცის, რისთვის ვიბრძვით, რისთვის ვიხოცავთ თავებს! — არეულად გაისმა დივიზიის ქვედანაყოფებში.

— ჩუმად, თქვე კამეჩებო! კარგად დაიხსომეთ: თქვენ არ იცით, როგორია ჩვენი ძალა, რა გვაქვს ჩვენ, რამდენი ვართ.

ჯარისკაცები სდუმდნენ. ბოლოს და ბოლოს, ამდენმა ლანძღვამ თავისი გაიტანა. ისინი შეურაცხყოფას გრძნობდნენ. მაშინ ოფიცერმა ერთ დალმეჭილ ცალთვალა კლოპს უბრძანა მწკრივიდან გამოსულიყო და დაავალა ინსტრუქციის გამეორება.

— ჩვენ სულელები ვართ, ბატონო ობერ-ლეიტენანტო! ჩვენ არაფერი არ ვიცით. ჩვენ ნამდვილად გამოტვინებული ჯარისკაცები ვართ. — წრიპინით სთქვა კლოპმა.

— ყოჩაღ! მართალია! — დაიღრიალა ოფიცერმა.

ჯარისკაცები თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ. ისინი ერთიმეორეს არ უყურებდნენ. თვითეული მათგანი გულში იმეორებდა ინსტრუქციას და აღიარებდა, რომ ინსტრუქციის სიტყვები ხიმართლეს შეიცავენ.

ბრძანებამ და ინსტრუქციამ ქმედითი გავლენა იქონიეს. როდესაც დივიზია ოპერატიულ მოქმედებას შეუდგა და გერმანელებმა წითელი არმიის ძლიერება იწვნიეს, ცოცხლად დარჩენილი ჯარისკაცები კიდევ უფრო მწარედ დაუფიქრდნენ ულმობელ სინამდვილეს. „რისთვის ვიბრძვით, ვის გულისთვის, რატომ ვიკლავთ თავს?" — ფიქრობდნენ ისინი. ბრძანების სიტყვები მახვილივით ესობოდნენ მათ გულში.

და აი, ჰანსი, მიუფკე, გაფკე და ვალტერ კლოპი „სრულიად მოულოდნელად" მოხვდნენ ჩვენების ხელთ და შტაბში ამოჰყვეს თავი.

— ვინა ხართ თქვენ, რატომ და რისთვის იბრძვით? — ჰკითხეს მათ.

— ჩვენ არ ვიცით, ვინა ვართ, ჩვენ რეზერვი ვართ, ბორდოდან მოგვიყვანეს. რატომ მოგვიყვანეს, არ ვიცით, რისთვის ვიხოცავთ თავებს, რა მიზანი აქვს ამას, არ ვიცით, ჩვენ ხეპრეები ვართ, ჩვენ ნამდვილი სულელები ვართ!..

— ყველაფერ ამას აქამდე კაჭკაჭებივით ვიმეორებდით, ახლა კი მთელის ჩვენი არსებით ვგრძნობთ,—სლოკინით ამბობდა ვალტერ კლოპი და მას სლოკინითვე ეთანხმებოდნენ ჰანსები.

ასე ქმედითი აღმოჩნდა: მათთვის ჩვენთან შეხვედრის პირველივე გაკვეთილი.

ა. მაღულარია

მომქმედი არმია

„გამარჯვებული“

ჩრდილოეთ დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა ერთეულმა ქვედანაყოფმა სცადა კონტრიერიშზე გადმოსვლა და ჩვენი თავდაცვის ხაზის გაწყვეტა. ეს ცდა მათი განადგურებით დამთავრდა.

გაზეთებიდან

კაპიტანი ფაფხურბერგი
ტრაბახს იყო ჩვეული,
იერიშზე წაიყვანა
თავის ათასეული.

თან თვის უფროსს უპატაკა
„ნება მომეც ერთიო,
რომ გადვიდე იერიშზე,
ჩვენთან არის ღმერთიო.—

ჩვენ შეტევის ამოცანა
ჯერ ვერ გადავწყვიტეთო,
რადგან ხაზი მტრის თავდაცვის
ვერსად ვერ გავხწყვიტეთო.

ის კი წყვეტს და გვავიწროვებს...
გამოვიდეს თავსაო
მე თვით გავწყვეტ ჩემი ჯარით
მტრის თავდაცვის ხაზსაო“.

ნებაც მისცეს... ალაისაგან
შიშით განამწარები
იერიშზე დიდი რიხით
წაიყვანა ჯარები...

თან იძახდა: „მე გავწყვიტავ“!
აებუძგა ფაფარი,
„მე გავწყვიტავ!“ — მოსძახოდა
მიხვე ტრაბახს მთა-ბარი.

მეორე დღეს პოლკის უფროსს
ოფლის დაღვრით და წვითა
ხელქვეითმა უპატაკა:
„ფაფხურბერგმა გაწყვიტა...“

— მართლა? ყოჩაღ, ფაფხურბერგო!
ბედი მან გადასწყვიტა!
აი გმირი!; მან ჩვენი მტრის
დაცვის ხაზი გაწყვიტა!“

უთხრეს: — არა! ტყვილა გაცდა
იერიშის ვედრებით:
შეტევის დროს მან გაწყვიტა...
ფაშისტური მხედრები.

ხ. ისარიძე

ქუცი, ქუცი ჩემო ფინა...

„ფინეთში მწვავე სიმშილობის გამო, გერმანელები ურჩევენ ფინელებს ფართოდ გამოიყენონ მერქანი — ხის გული“.

გაზეთებიდან

გერმანიამ უთხრა ფინეთს:
„ქუცი, ქუცი ჩემო ფინა!
პურის ნატეხს მოგიგდებდი,
მაგრამ არ მაქვს თვით ჩემთვინა.
ერთ რჩევას კი მოგცემ ისეთს
ვერ აჯობებს მას სხვა ჯილდო,
თუ გსურს ხურსათ-სანოვაგე
გაიმრავლო, გაიდიდო.
გეზოვნებას ნუ დაეძებ
ტკბილს გერჩიოს სჭამო მწარე,
ნამდვილ პროდუქტს შენ ვინ მოგცემს,
შენ ერზაცებს დაეშყარე.
პური აცხვეთ ახალ წესით,
არიული სცადეთ ხერხი:
კილო ფქვილში აურიეთ
თითო ფუთი ხის ნახერხი.
ხე უმადაც უნდა სჭამოთ,
არა მარტო გამომცხვარი!
ნეკერს თქვენ ვერ მოინელებთ,
თუ ინელებს თხა და ცხვარი?!

ყირიმელი

ფრონტის გაზეთებიდან

დისციპლინარული სასჯელი

ფელდფებელი — წუპაკებო, მე თქვენ გიჩვენეთ როგორ უნდა დისციპლინის დარღვევა! ჯარისკაცო ხელბატ!

ჯარისკაცი — აქ ვარ!

ფელდფებ. — ბანაკიდან თვითნებურად წასვლისათვის მე შენ გსჯი ათი დღით პატიმრობით და მოგეცემა მხოლოდ პური და წყალი. გესმის?

ჯარისკაცი — მესმის, ბატონო ფელდფებელო. დიდ მადლობას მოგახსენებ. ძლივს მელირსა. ამდენხანს მარტო წყალის მეტი არაფერი მეძლეოდა...

(„ფრუნზელი“)

გერმანელთა ჰოსპიტალში

— ამ ჯარისკაცს სადა აქვს ჭრილობა?
— პირში აქვს მოხვედრილი ტყვია, ბატონო პოლკოვნიკო!..
— მაშ წარვადგინოთ ჯილდოზე.
— რათა?
— ასეთი ჭრილობა ჩვენ საკვები პროდუქტების ეკონომიის საშუალებას გვაძლევს.

(„ფრუნზელი“)

სამოთხის შესავალთან

დილისთვის დანიშნული იყო შეტევა. პოლკის მეთაურმა ქადაგებით მიმართა გერმანელ ჯარისკაცებს. შეზარხოშებულმა ხუცესმა ფერადებით ასწერა სამოთხის ნეტარება, რომელიც მოელის ყოველ გერმანელს, რომელსაც ბედნიერება ეწნება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკვდეს:

— ყველა გერმანელი, რომელიც რუსეთში დაიღუპება, სამოთხეში მოხვდება! — გაჰკიოდა მთვრალი ხუცესი.

— თუ ასეა, უმჯობესია მე ჯოჯოხეთისაკენ გავწევ, — სთქვა ერთმა ჯარისკაცმა, — ჩვენებმა უთუოდ მთელი სამოთხის ქონება უკვე გაანადგურეს, იქ ხომ ისინი უკვე მილიონობით არიან.

(„სტალინელი“)

გულახდილი საუბარი

ერთი ჰიტლერელი ჯარისკაცი ეკითხება მეორეს:

— ერთი მითხარი ჭანს! ჩვენ ფიურერმა გამოგვიცხადა, რომ მივდივართ მშვიდობიან მცხოვრებთა გასათავისუფლებლად. რისგან უნდა გავათავისუფლოთ ჩვენ ისინი?

— სულელო! განა არ იცი: რაც რამ ქონება გააჩნიათ უნდა წავართვათ და თავისუფალი იქნებიან.

(„სამშობლოსათვის“)

იძულებითი შენიღბვა

კალინინის ფრონტზე წითელმა არმიამ ახალი დასახლებული პუნქტი დაიკავა. გერმანელებმა ტანსაცმელის ჩაცმა ვერ მოასწრეს და საცვლების ამარა გაიქცნენ.

ნახ. **დონისა**

გაზეთებიდან

— რატომ გარბიან საცვლების ამარა? ნუთუ გაცივების არ ეშინიათ ამ თოვლში?

— ორ კურდღელს იჭერენ: შესანიღბავადაც იყენებენ საცვლებს და კიდეც გრილდებიან წითელი არმიისაგან „გახურების“ შემდეგ.

ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ნახ. ი. გაბაშვილისა



1. პოლკოვნიკი შტერინგი უკმაყოფილი იყო „არიელთა“ უკანდახევით და „ფიუერერს“ სთხოვა გაეგზავნათ მისი ბატალიონი მოწინავე პოზიციაზე, რათა წითელი არმიის დარტყმით მიელო კმაყოფილება.

2. მართლაც პოლკოვნიკი შტერინგი, მისი სურვილის თანახმად, გაგზავნეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და...

3. წითელი არმიისაგან, მიიღო სრული დაკმაყოფილება.

ᲝᲞᲔᲠᲐ. ᲠᲝᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ

(სცენა დაბისტია ბლინდაჟში. გერმანელი ჯარისკაცი წითელ არმიისაგან დარტყმის მოლოდინში არიან).

ჯარისკაცები: ᲙᲣᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲖᲤᲔ

კურტი (ჩუმად) — იოზეფ, რალაც ცუდი ფერი გაქვს. რა დაგმართია? ავად ხარ? ან ხარ? მოთხარა ხარ? არ გაწუხებს რამე? მეკონი შეგიპყრო უიმედობამ.

იოზეფ (მწარე ღიმილით) — უიმედობამ? აბა რას ამბობ! პირიქით, სრული მაქვს მე იმედი...

კურტი—იმედი? რისი, ვერ გამიგია?

იოზეფ—იმედი იმის, რომ ჩვენთვის ომი, უნდა ვიფიქროთ მალე მორჩება.

კურტი—ეჰ, ჩემო ძმაო, ძალიან გწუხდარ, რომ შენი საქმე ცუდად წასულა — ეგონებს გონება სულ დაკარგავდა. არაფერი იცის, — თვით ფიუერერმაც, ამ ომის ბოლო როდის იცვნა! აკი გიგავცეს ჩვენ მისი სიტყვა...

იოზეფ—შენ ვერ გიიგე ჩემი ნათქვამი, მე იმას ვამბობ, რომ ჩვენთვის ომი გათავდებათქვა.—ჩვენთვის,—ხომ გესმის,

კურტი—ეს კი რას ნიშნავს?

იოზეფ—ეს იმას ნიშნავს, რომ ომში მალე ჩვენ გავთავდებით, — დავთოვლებით, — ან შეიძლება გავიდნინურდეთ და ჩიუარდეთ ტყვეებად წითლებს. ორივ შემთხვევა ჭმარად ნინავეს ჩვენთვის დასასრულს საშინელ ომის...

კურტი—შე კი კაცო, ასე გარკვეულო თავიდან ეთქვა,—ახლა კი მიგხვდი... თუმცა რას ამბობ, სულ მალე ომი უნდა გათავდეს ჩვენს სასარგებლოდ.

იოზეფ—როგორ? არ მესმის. ისეთი მინც რა მოიგონა ჩვენმა ხელმძღვანელმა?

კურტი (ჩუმად ხითხითებს)—

რა მოიგონა, თითქოს არ იცი!
ლოცვა გვასწავლეს, მერე რა ლოცვა, ფაქტია ამ ლოცვით უნდა
ეკუ ვაქციოთ წითელი ჯარი.

იოზეფ—ეჰ, შენ ხუმრობის ხასიათზე ხარ, მე კი სიცა სული ამოშფეს, აბ, ნეტა იგი ჩამიგო ხელში.../

კურტი—ვის ეშეკრეში აყრე, იოზეფ?

იოზეფ—ვისი და იმისა,—ჩვენს ეფრეიტორს...

კურტი—ჩვენს ეფრეიტორს? რა დაგიშავა ეფრეიტორმა? ცუდი რა გიქნია?

იოზეფ—მან დაიქცია ჩვენი ქვეყანა...

კურტი—ხომ არ გაგიჟდი? ჩვენს ეფრეიტორს სად შეუძლია ქვეყნის დაქცევა?

იოზეფ—გიგიე, რაღა! მე სახეში მყავს ეფრეიტორი მთავარსარდალი, ანუ „ფიუერერს“ რომ ეუწოდებენ.

კურტი—ესს... კრინტი, თორე შენი ბორეიდან მისთვის ბიუშტექს, გაიკეთებენ.

იოზეფ—ისეც რა ვეფერ ჩემი ხორეიდან მან გეშრიალეთ ამ მიანთვის.

(ეფრეიტორი, ჯარისკაცები ჰანსი, ფრიც და კარლ)

ეფრეიტორი (ჰანსს, ფრიც და კარლს)— ეი, აქ მოდიხარ, ხეა ვიცოდე, ხომ შეითვისეთ ლოცვები ყველმ?

(ჰანსი, ფრიც და კარლ ეფრეიტორს გამოეგებებიან)

ჰანს, დილის ლოცვა როგორ ითქმება?

ჰანსი (დაიწყებს ლოცვა—

ღმერთო, უფალ ფიუერერ, ისმინე ჩვენი ვედრება, ოხოინა, და მოწყალეობა მიე ჩვენზე, რომ შენთვის ყველ ჩვენ თავი დავდოთ,— ეეხმიანლოთ ნოეტს და დავამარცხთ, ჩვენ განგლეთ ეს ფი ღილას ეგვეტენთ, ჯერ ჩვენ სიფლ განვეძიდეს ყველას,— შემდეგ ბრძოლიკის განვეშაღეთით,— ჩვენო მფარველ ღმერთო და ხორეკთა...

ეფრეიტორი (აწყვეტინებს)— ეიჰაღ, რა კარგ დაგამზადეთ... წადი განაგრძე ლოცვა კუთხეში.

(ჰანსი ადგილს დაუთვალ ლოცულობს)

ფრიც, გიანსენ ეხდეს ლოცვა. ჯერ მხოლოდ ეკლეს შენთვის, ხომ გესმის? (ფრიცი ლოცვა ამსრულებს)

ჰანსი (ლოცულობს თავისთვის)— წუეფლი იყოს ალლი შენი, ქვეყნის დამქცეო შენ, ადოლფ ჰიტლერ, ფლეს, ვინ სულელ დარდებს თავს შენთვის,— რომ მას სიკვდილს არ ეშინოდეს. სამი ფლეი რაღ ? ალეკმია, ჩვენ არაფერი, ალეკმეა კუჭი. და შენ კი თითს სიუზეთი ვეკიდეს. ალეკ წუეფლი ეჩვა ბარალის. და ეკეფნოთ ეკარსაფლე.

ეფრეიტორი (ფრიცს)— — დიუწეე!

ფრიცი (ლოცვას ამბობს)— ბამაო ჩვენო ბეჭიანელ ქვეყნის და ფიეჰტერო ალლი ეკარაპის. შენა ხარ ჩვენი ალი სარდალი, და ჩვენც ალეკეეეენ ლოცვას შენდამი, რომ ბალიმარდალ ნოეტ ჯარაზდა... ვით ფლეთ, ანეზეფლის ეთანაც ბვენეფლეთ ბრძოლეტლეგი მალე თავს ბეგეზარაგდეთ ფიუერერ!

ეფრეიტორ.—ეიჰაღ, შენც, ფრიც, დაგიმზადლია კარგად შენ ლოცვა.

წადი კუთხეში შენთვის ილოცე. — (ფრიცი გადის, ეფრეიტორი—კარლს) კარლ, როგორ ითქმის სალამის ლოცვა. (კარლ ლოცვას ამსრულებს)

ფრიცი (ლოცულობს თავისთვის) — დიაბ, ფიაპაკარ ბეგრი ქვეყნენი სად დაალენე ზეცეში ალსხლილი, მაგრამ ფაპარობილ შენ ხალხთა რასმცვა იკოფე ვერანად ვეფარ ზეფეზედ. ბვენეფლია ბრძოლა, მოილიდ ზეთლეტების მიმარო ეკ ალა, ბრძოლა ზენს ზამარეთ...

ეფრეიტორი (კარლს)—გიმეენ კარლ ლოცვას!

კარლ—ესიდ ფიუერერ! ესიდ ფიუერერ! მადლობა შენდა დიდი სარეალო, რომ გიგიტარეთ ეს დღე ბრძოლისა "ზენი წყალობით, ლოცვა-ლოცვისეთ, კარი განგეფილ მოწყალეობისა, რომ არ დაგეცეთ წითლებისა�"ეფლეფეფლნი", ზენი სახელით.

ეფრეიტორი—კარლ, შენ კი ყველას აჯობე, მაგრა... წადი ილოცე შენც ამ კუთხეში (კარლ გადის და ლოცულობს)

კარლ (თავისთვის) — მადლობა ეეთხრათ? ნეტავი რისთვის? ეფლეფეფლეეი აწ ალარა ეკოლ. წითლებმა „ალეფთ ქეა ეგასოლინეს“ და ჯერ სად არის,—ეს კეფრატი არის და ნაყოფი კი შემდეგ ჩქენება.

(ამბონზეეეა ოფიცერი. ყველანი წამოიშლებიან.

ეფრეიტორი ოფიცერს ეუბნებიკეს) მაქვს პატივი, ბაეენობთთ, ლოცვა ჩვენს ჯარისკაცებს დაეუწყალეთ.

ოფიცერი (ყველას მიმართ) — — ახა, დაეწყვეთ!

(ამ ლერს ბლინდაჟში ჩავარდება ყოუშბარა. გაისმის ბრძანება: „დაყარეთ იარაღი! ყველანი ხელეს მაღლა ასწვეეენ)

ოფიცერი — (ეუკვირის ჯარისკაცებს: განაგრძეთ ლოცვა!)

ჯარისკაცები — ამ ლილეთ მზად ვართ, დავყაროთ ყველამ იარაღები. ბრძოლა არ ეკეფნეკ.

პარტიზანი მეთაური —

ლოცვას არ გაშლეთ... ოლონდ ახლა კი ჩვენ არ ბეეკალა ლოცვა ვისმენთან! შეგაში ყველანმ. ამა ბრეკოეთ! (ეკრანაზეა ჯარისკაცები ვაპყვებიან პარტიზანებს).

ᲧᲣᲗᲑᲐᲠᲐ

ᲡᲐᲕᲔᲢᲘᲐᲠᲘᲡᲒᲘ

ᲒᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲑᲝᲠᲪᲘᲡ ᲜᲐᲚᲔᲒᲑᲝᲜᲘ. ᲔᲣᲛᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲔᲑᲘᲗ (ᲔᲠᲛᲐᲜᲔᲗ ᲒᲐᲖᲘᲗ „ᲛᲔᲠᲔᲒᲖᲔ „ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ“)

ნახ. ლონისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფრიცი ყველაზე უკეთ იცნობს ძალლის ენას.

— როგორ, ესმის ძალლური ლაპარაკი?

— არა, როცა ძალლის ხორცს შევეტანეთ, ენის შემმას ვერავინ ასწრებს.

ᲛᲐᲓᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲯᲔᲠᲘᲪ ᲛᲝᲕᲐ...

პარტიზანთა წარმოიქმდეგ ბიტლერელებმა ბაგზავნეს დამსჯელი რაზმი, რომელიც პარტიზანების მიერ მოელინად იქნა განადგურებული.

გიზოეთბილან

ᲑᲘᲢᲚᲔᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲗᲐᲜᲘᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲔᲑᲐ, ᲗᲣᲠᲛᲔᲠᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲢᲔᲒᲜᲘᲐᲜ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲣᲠᲗᲐᲜ ᲑᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲘᲡ ᲐᲛᲘᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲠᲩᲐ ᲨᲔᲣᲬᲘᲜᲘᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲒᲜᲔᲑ ᲔᲛᲘᲠᲩᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲔᲣᲤᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ.

ᲓᲐᲛᲘᲜᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲙᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲐᲜᲐ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲚᲘᲗ ᲛᲔᲛᲓᲒᲐᲠ ᲓᲐᲠᲢᲧᲝᲛᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲞᲘᲢᲚᲔᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲙᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲐᲜᲐ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲚᲘᲗ ᲛᲔᲛᲓᲒᲐᲠ ᲓᲐᲠᲢᲧᲝᲛᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲐᲛᲑᲐᲖᲔ.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲖᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲯᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲐᲛᲑᲐᲖᲔ:
— „ᲛᲐᲓᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲯᲔᲠᲘᲪ ᲛᲝᲕᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲗᲠᲘᲡ ᲠᲣᲜᲔᲑᲘᲗ“.

ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ **Გ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ**

ᲜᲔᲒᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ნახ. ლონისა



— დაგხვრეტთ არამზადები, როგორ გაბედეთ ტყვეების გაძარცვა და ნაძარცვს სახლში წაღება?

— როგორ, განა ჯარისკაცებს აკრძალული გვაქვს გაძარცვა?

— გაძარცვა კი არა, ნაძარცვის სახლში გაგზავნა: ის ოფიცრებს უნდა მოგვართვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა ფაშისტების „სასურსათო საწყობთან“

გადამწვარი სოფელი. მოსჩანს სასურსათო საწყობი. ჯირკზე ზის გუშაგი და სძინავს. ფარდის ახდისას თვალებს ახელს. ტანზე აცვია ქალის პალტო, ფეხებზე ქალის ბოტები, ქუდი ყაზახური.

ოტტო: ეხ, მთელი ძალა თბილ პალტოშია,
ღმერთ რა უცბად გაურბენია,
მზე შუბის ტარზე ასულა უკვე,
მამლის ყივილი არც კი მსმენია.
(ჩაფიქრდება)
მამალს ვამბობ და ჩვენ შეუჭმელი
!ყვავის ბახალაც არ დაგვრჩენია,
(პაუზა)
ნეტავ ვიცოდე ჩვენი ბიჭები
სხვა ნაწილებში რასა შვრებიან,
კვლავ განაგრძობენ ყაჩაღობას თუ
უკვე დამზრალნი ველარ დგებიან?
(შემოდის ჯარისკაცი გოტლიბ, ყოფილი ყასაბი)
გოტლიბ: ოტტო, მე მესმის შენი წუხილი
თავს დაჰხაროდი ერთდროს ცხვრის ფარას,
ეხლა გუშაგობ ცარიელ საწყობს,
სადაც ვერაფერს ვერ მოიპარავ!
საწყობსაც მხოლოდ სახელი შერჩა
თაგვების სოროდ გადაქცეულა,
მიკვირს გერმანელ ჯარისკაცივით
რომ არ დამზრალა, არ წაქცეულა.
ოტტო: თავვი რომ გვყავდეს არა უშავდა,
შენ ყასაბი ხარ დიდათ ნაქები,
ეხ!.. ცხელი სუპი! შიგ თაგვის ხორცი
შენი დამზრალი ხელით ნაკეპი!
სუპს ვხვრეპდი, ხორცს კი ვაზრამუნებდი...
გოტლიბ: სუ!.. ვიღაც მოდის.
(ფრანცი, ყოფილი არტისტი, ძალზე დაღონებული შემოდის)
ადამიანის აღარ გაქვს ფერი,
ფრანც, ეგ რა მოგდის? ფეხზე ძლივს დგეხარ!
ფრანცი: შენც გახდი, გოტლიბ, როგორც ტარანი,
და მსუქან ყასაბს აღარა გევხარ!
გოტლიბ: ჰო, ფრანც, მითხარი, აგრერიგად რამ დაგაღონა?
ფრანცი: ჯარისკაცებმა კარგად უწყით, მქონდა საათი
ოქროსი იყო, ოქროსავე მშვენიერ ძეწკვით,
მე თვით წავართვი იგი რუსის დედაკაცს ხნიერს
და ოსტატურად ვიფარავდი ოფიცერთაგან,
ვერ მიითვისეს, სანამ თითონ მე არ გავსწირე
სწორედ ამ დილით ეს ქონება ერთ ბოთლ არაყში.
დავითვერ მაგრათ და ცოტა ხნით მე დავივიწყე
საშინელება რაც ჩვენ ვნახეთ აღმოსავლეთში
და ატყდა სროლა უეცარი ჯოჯოხეთური
მე ამ სროლის ხმამ უდიდესი შიში მომგვარა,
და ნაადრევად გამოვფხიზლდი მე უბედური,
თურმე საშიში არ რა იყო ამ შემთხვევაში
პარტიზანები არ დაგვესხმიან როგორც სჩვევიათ,
არამედ ჩვენებს დაეხვრიტათ ერთი ბებერი.
გოტლიბ: მე კი ვფიქრობდი შენ დაფიქრდი იმ ბრძანებაზე,
რომ გვავალებენ რუსთ მივბაძოთ მარჯვედ სროლაში,
და შაშხანებით ჩამოვყაროთ თვითმფრინავები.
ფრანცი: ამ ბრძანებაზე ჩემი აზრი მსურს მოვახსენო
სარდლობას ასე, თუ ამისი შემთხვევა მექნა:
დიდი სიმკაცრით, ცბიერებით სახელგანთქმულნო,
უმწეო ხალხის დამჩაგვრელნო, უფროსნო ჩემნო!
არა ვიცი რა ამ დასაქცევ ქვეყნის ბრუნვისა,
რაც ყაჩაღობას, ძარცვა-გლეჯას არ შეეხება,
და ნამდვილს გეტყვი: მაგ საქმეში ვერ გამოვდგები“.
(უცბად გამოვარდება ეფრეიტორი და ეტყობა ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს).
ეფრეიტორი: ვერ გამოდგები? შევეცდებით გამოგიყენოთ,
ჯაჭვით მიგაბამთ ტყვიამფრქვევზე როგორც რუმინელს!
(მიმართავს ფრიცს და ჰანსს)
თქვენც ყურს უგდებდით ამ არტისტის უაზრო როშვას,
მოღალატენო, მოემზადეთ განკითხვისათვის...
(პარტიზანები ალყას არტყამენ გერმანელებს)
1 პარტიზანი: ხელები მაღლა! არ გაინძრეთ! განკითხვისათვის
შენც მზად იყავი არამზადა ეფრეიტორო!
2 პარტიზანი (ქალის ტანსაცმელიან ფრიცს წაღმა-უკუღმა ატრიალებს და მღერის)
ჩიტი გვრიტი მოფრინავდა, ოვნანინა,
მე შროშანი მეგონაო, ოვნანინა,
ეს ფაშისტი დავინახე, ოვნანინა,
ბალერინა მეგონაო, ოვნანინა.

ს. ოქროსძეძელი

პესიმისტი მიქელი

ნახ. ი. განფისა („ოგონიოკიდან“)

ზებელსი: რა მჟავე სახე აქვს! აშკარად პესიმისტია! გაამხიარულეთ, ფიურერი თხოულობს ღიმილს.



შეუდგნენ გერმანელ ობივატელ მიქელის გამხიარულებას, მაგრამ ფაშისტურმა იუმორმა ვერ გასჭრა.

ვერ უშველეს მას კლოუნებმაც. მათმა მანჭვა-გრეხვამ მიქელი კიდევ უფრო დაასევდიანა.

იგი ჩასვეს სალიტინებელ სავარძელში. მექანიზმი მუშაობდა შეუფერხებლივ, მაგრამ ნაყოფი მაინც არ სჩანდა.

გამამხიარულებელი გაზის ბალონმაც ვერ უშველა საქმეს. მიქელი კვლავ სევდიანი იყო.

უცბად მიქელმა ხმამაღლა გადიხარხარა. მან დაინახა ფიურერის პორტრეტი მთავარსარდლის პოზაში.

ცხვრები და ბარონები

გენერალი ანტონესკუ უკრაინაში მამულებს პირდება იმ რუმინელებს, რომელნიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაზეთებიდან

ანტონო ბითურესკუ აღფრთოვანებულ წერილს სწერდა ცოლს:

— მომილოცავს ჩემო ბეტი, წარჩინება კარზე გვადგია: საცაა ბარონობას მომცემენ და უკრაინის ერთერთ ლამაზ კუთხეში მამულებს დამიმკვიდრებენ. მართალია, მე პროფესიით ჯერ ისევ პარიკმახერი ვარ, და ახლა ეფრეიტორობას ვლებულობ, შენც მანდ მანიკურების კეთებით ირჩენ თავს, მაგრამ ცოტა კიდევ და — კაპუტ ძველი ყოფა: მე ბარონი გავხდები, შენ კი — ბარონესა. მერე ნახე როგორ დამშვენდები, როგორ გამდიდრდები, როგორ განებივრდები…“

ბეტიმ, ჩვეულებრივმა რუმინელმა, მემანიკურე ქალმა, ვერაფერი გაიგო ქმრის წერილიდან. იფიქრა ქმარი გადამრევიაო. შეიძლება, კონტუზია მოუვიდა, ტვინი შეერყა და არეულად იწერებაო. ბოლოს, თავის ერთერთ კლიენტს წააკითხა და განმარტება სთხოვა:

— მითხარით ქალბატონო, რას ნიშნავს ბარონი? — შეეკითხა იგი გულის კანკალით.

— ბარონი — ეს ტიტულია.

— ტიტველი? უი, ჩემს თვალებს, მაშ დაცინვით მოუწერია ანტონოს. „ბარონესა გახდებიო“, ესე იგი კიდევ უფრო გავტიტვლდებით სიღარიბისაგან?

— არა, ჩემო კარგო! ტიტველი კი არა, ტიტულია, ესე იგი წოდებაა; აი, მაგალითად სიტყვა „თავადი“ გაგიგონია?

— გამიგონია. მდიდარი ხალხია თავადები, აი ბევრი მოსამსახურეები რომ ჰყავთ, რომ სცემენ და ტუქსავენ მათ, გლეხებისაგან დიდ ღალას რომ ღებულობენ არა?

— დიახ, ისინი, ბარონი კიდევ უფრო დიდ თავადს ნიშნავს.

— ჩინებული ყოფილა, მაგრამ ანტონოს ვინ მისცემს ბარონობას, ან რისთვის? არაფერი მესმის.

— სულ უბრალო მიზეზით, ჩემო კარგო.

— მაინც?

— ის ხომ რუმინელია?

— რუმინელია.

— ის ხომ ანტონესკუს ცხვარია?

— როგორ თუ ცხვარი, რას ბრძანებთ?

— ესე იგი ანტონესკუს მიერ სასაკლაოზე გაგზავნილ რუმინეთის არმიის ჯარისკაცია, ხომ?

— დიახ.

— ჰოდა, მაშასადამე, ცხვარი ყოფილა. განა არ იცი, რომ ჰიტლერისათვის საზარბაზნე ხორცად „დამზობილ“ ჯარისკაცებს ცხვრებს უწოდებენ ჩვენში?

— რატომ, ქალბატონო?

— იმიტომ, რომ ისინი ცხვრებივით თავის სისხლსა და ხორცს აძლევენ ფიურერს, მისგან კი — ღებულობენ დაპირებებს.

— რა დაპირებებს?

— თუ კარგად დაიხოცებით ჩემთვის — თქვენს ზედს ძაღლი არ დაჰყეფსო.

— მაინც?

— გაგაკეთებთო.

— როგორ?

— ბარონებად გაგხდითო, უკრაინის მიწებს მოგცემთო.

— მერე ეს მართალია?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— მაშ ჭეშმარიტებაა, რომ ჩემი ქმარი ბარონი გახდება, მე კი — ბარონესა?

— ბარონობისა რა მოგახსენო, მაგრამ მიწის მოლების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად შეგიძლიან ჩასთვალო.

— ღმერთო ჩემო, განა ეგ ცოტაა? მიწა, უკრაინის ნოყიერი მიწა, წარჩინება, სიმდიდრე — რა გულკეთილი ყოფილა ფიურერი თუ კი მიწას გვაძლევს.

აღტაცებულ ბეტის აღარ დაუცდია უფრო ზუსტი განმარტებისათვის. მას ტვინში ჩაუჯდა აზრი ბარონესობისა და მიწების მიზომვისა. ახლა მიხვდა მემანიკურე ქალი იმ გრძელი სიის სიბრძნეს, რომელიც გაზეთ „ადევერულში“ წაიკითხა ამას წინეთ. იქ ეწერა, რომ ანტონესკუ ადგენდა სიას იმ რუმინელების ოჯახებისას, რომელნიც ჰიტლერისათვის დაიხოცნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ეს თურმე იმიტომ ყოფილა, რომ მათ ბარონების ტიტული, მიწები და კეთილი ცხოვრება აღუთქვან.

მართალია, ის რუმინელები დაიხოცნენ და ამას ვერ მოესწრენ, მაგრამ მათი ქვრივები ხომ აქ არიან? — გახდებიან ბარონესები და ლოცვა-კურთხევას შეუთვლიან იმ ცხვრებს, რომელთაც სიცოცხლეში ვერ ნახეს თავისი გაბარონება.

მერე რამდენია ასეთი. თითქმის ნახევარი რუმინეთი.

და ბეტის წარმოუდგა გონებაში, თითქოს ნახევარი რუმინეთი ცხვრებად გადაქცეულა და სასაკლაოს წინ ჩამწკრივებულა; იქ კი — ყასაბი „ფიურერი“ დგას და ცალი ხელით რომ ყელსა სჭრის მათ, მეორე ხელით — სწერს სიგელებს — ცხვრების გაბარონების შესახებ.

მემანიკურე ქალმა სახლში საჩქაროდ შეირბინა, კალამი მოიმარჯვა და ვრცელი, გრძნობიერი წერილი გააპრელა თავის „ცხვართან“; ესე იგი ქმართან — ანტონო ბითურესკუსთან.

მინაწერივით: ბითურესკუმ ბეტის წერილი მაშინ მიიღო, როცა თხრილში იჯდა და ჩვეულებრივ, დილის „ფიზდაჭურვას“ ასრულებდა; ესე იგი თავის პერანგს ანთავისუფლებდა პარაზიტებისაგან. უხალისოდ დაიწყო წერილის კითხვა, რადგან ბითურესკუს უკვე განწირულად მიაჩნდა როგორც თავის ჯარის ნაწილის, ისე საკუთარი ბედიც. მას აღარაფერი აინტერესებდა. წითელმა არმიამ და პარტიზანებმა მათ დაბადების დღე აწყევლინეს: სულ მცირე ნაწილიღა დარჩა რუმინელთა არმიისაგან და ისიც სულს ღაფავდა, რადგან ორივე ფლანგიდან ურტყამდნენ წითლები.

— „ჩემო ძვირფასო, — სწერდა ბეტი, — ბითურესკუს: ახლა გავიგე, თუ რა სიკეთეს გვპირებენ ფიურერი და ანტონესკუ. რა სჯობია ბარონესობას? ცხადია, მიწას მოგიზომავენ მანდვე. ეცადე, კარგი მიწა აირჩიო და თანაც იმდენი, რომ ყოველმხრივ დაგვაკმაყოფილოს“.

ამ ადგილას ბითურესკუს თვალები აუჭრელდა. მას მოეჩვენა თითქოს ყურებში ბუკი აგმინდა, ფეხებქვეშ მიწა ჩაენგრა და ისიც თან ჩაიტანა.

არა, არ მოსჩვენებია ბითურესკუს. ეს ნამდვილად ასე მოხდა. უკრაინელ პარტიზანის მიერ ნასროლმა ხელყუმბარამ იგი მოსხლიტა ნიადაგიდან, თავის ჭოლა შუაზე გაუპო და ბითურესკუ გელაქნურივით გაიშხლართა თხრილში.

მან მართლაც „მიიზომა“ იმდენი მიწა, რამდენიც დააკმაყოფილებდა.

მაშასადამე, ბეტი ბითურესკუ უკვე ბარონესა გახდა.

ოთარ მეღვინეთუხუცესი

დაასაბუთა

გერმანიაში პროპაგანდის სამინისტრომ გამოაცხადა: ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით ომის ინვალიდებმა, იმუშაონ, არ უნდა მიეცნენ უიმედობას და შეინარჩუნონ წონასწორობა. (გაზეთებიდან)

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რა გიჭირს, მარჯვენა ხელი მაინც შეგრჩენია, იმუშავებ, მე კი უხელომ რა უნდა გავაკეთო?!

— ეხ, არც ეგ სწყვეტს საკითხს. როგორც გებელსი აცხადებს, მთავარია წონასწორობის დაცვა და ეს კი ცალი ფეხით შეუძლებელია.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. ტელ. 8-10-49.

42-62

ზრდილობისათვის

„გებელსი და ლეი თავიანთ უკანასკნელ გამოსვლებში მოუწოდებენ გერმანელ ხალხს, თავი შეიკავონ უხეშობისა და ნერვიულობისაგან. ამის შესახებ ამბობ. ლოზოვსკი სწერს: „სასაცილოა ამ უხეშ ცხოველებისაგან მოისმინოს კაცმა მსჯელობა ზრდილობისა და კარგი ყოფაქცევის შესახებ".

ნახ. მ. ვადბოლსკისა



— არ გიკვირს ერნესტ, რომ ეს ცხოველები ზრდილობაზე გვიქადაგებენ?!.
— ?! —